ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

№ 7




მცირე წლოვანთათვის. — აპრილი.

1909

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—გაზაფხულდა.—ლექსი, შ. მღვიმელისა . . . . . . . . . . . . 3

II—იაკოს აღდგომა.—საწყალი იაკო, ი. ევდოშვილისა . . . 5

III—დათეს კოხტა.—ჯ. ლეჟავასი . . . . . . . . . . . . . . . . . . 9

V—პატარა მეხრეს წერილები.—წერილი მეცხრე ვ. თამროშვილისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16

IV—ინდოური.—(ვაგნერიდან) დ. ყიფიანისა . . . . . . . . . . 19

VI—ა) გამოცანები,—ბ) რებუსები და ახსნა . . . . . . . . . 23

~



# ნაკადული

წელიწადი მე-V. № 7 აპრილი 1909 წ.



საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

222

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის:.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—გაზაფხულდა.—ლექსი, შ. მღვიმელისა . . . . . . . . . . . 3

II—იაკოს აღდგომა.—საწყალი იაკო, ი. ევდოშვილისა . . . 5

III—დათეს კოხტა.—ჯ. ლეჟავასი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 9

V—პატარა მეხრეს წერილები.—წერილი მეცხრე ვ. თამრო-
შვილისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16

IV—ინდოური.- (ვაგნერიდან) დ. ყიფიანისა . . . . . . . . . 19

VI—ა) გამოცანები,—ბ) რებუსები და ალსნა . . . . . . . . . 23



# გაზაფხულდა

ზამთარმა ჭირი მოგვჭამა
სუნი სცემს გაზაფხულისა,
ენძელა ამოჩენილა —
შენი გულისა, სულისა!

სხვა ყვავილებიც მოდიან,
ლამაზნი, მოსაწონები;
წავალ და ყველას ფოთლებზე
სათუთად დავეკონები.

ჩემო პატარა გოგიავ,
აბა, ჩაიცვი ქალმები!
მინდვრის ყვავილებს, გენაცვა,
შენ-კი არ მიესალმები?

შენც ხომ იმათი დარი ხარ
წმინდა, უმანკო გულითა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმათთან ერთად დავტკბები
კვლავ შენის სიყვარულითა.

თქვე' შემოგევლეთ თავზედა,
ტურფანო, დაქარგულებო,
წყაროსნო ჩემის სიცოცხლის,
პირველო გასაფხულებო!

ქნა ქლურტულავ მერცხალო,
მალე მოფრინდი შენაცა,
რომ შენს ჭიკჭიკთან პაწიამ
ფეხიც აიდგას, ქნაცა.

**შ. მღვიმელი**





# იაკოს აღდგომა

**საწყალი იაკო!**

ძალიან ღარიბი იყო პატარა იაკო. ისეთი ღარიბი იყო, რომ მათხოვრობით შოულობდნენ ლუკმა-პურს ის და მისი უსინათლო ბებია. დედ-მამა აღარა ჰყვანდა, დაეხოცა. მხოლოდ ბებია იყო მისი მანუგეშებელი, მისი მოალერსე. იაკოსაც ძრიელ უყვარდა თავისი ბებია, ფრთხილად დაჰყვანდა ქუჩა-ქუჩა და ყოველსავე მის სურვილს ასრულებდა.

დღესაც ჩვეულებრივ გამოვიდნენ სამათხოვროდ, იშოვეს რამდენიმე გროში, იყიდეს პური, ცოტაოდენი მოხარშული ხორცი და, წარმოიდგინეთ, ორიოდე შეღებილი კვერცხიც. ხვალ აღდგომა იყო და ისინიც მოემზადნენ მის შესახვედრად. დაბრუნდნენ საღამოთი სახლში, აანთეს ფილთიანი, უშუშო პაწია ლამფა, ტოპრაკი ფრთხილად შეინახეს, შეჭამეს რამდენიმე ლუკმა ცარიელი პური და მიწვნენ ორივენი ერთად, ერთს ლოგინზე.

ეძინათ ბებიასა და შვილისშვილს, მაგრამ დღევანდელი დღე ისე ჩაებეჭდა იაკოს გონებაში, რომ სიზმარშიაც იმასვე ხედავდა, რაც დღისით ცხადათა ნახა: ქალაქის ბაზარი, გამოფენილი ხილი, მშვენიერი ტანთსაცმელი, აუარებელი ხალხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტლების სრიალი. აგერ ერთს უჭირავს ათასნაირი სანოვაგეს და მიაქვს სახლისაკენ, მეორე მშვენიერს ქუდსა და ფეხსაცმელებს ყიდულობს ბალღებისთვის, მესამეს ტიკინები უჭირავს



ხელში. წითელ ქოჩრიან ბატკნების ბღავილი უერთდება ხალხის ჟრიამულს. ხვალ აღდგომაა, ქრისტეს აღდგომა და ყველას უხარიან, ყველას ღიმილი უკრთის ტუჩებზე. უხარიან იაკოსაც. მამა ჯერ არ დაბრუნებულა სამუშაოდამ, დედაც საყაჭროდ წავიდა ბაზარში. იაკოც მოელის ახალს ტანსაცმელს, ახალს ქუდს, ფეხსაცმელს და ტიკინის შეკაზმულს, ყურცქვიტა ცხენს. მოელის და მალი-მალ იყურება კარებისკენ.

ეკლოვგიაზედაც უნდა წასულიყო, ადრე უნდა დაეძინა, რომ თავის დროზე ამდგარიყო. „დინ. . მუუ... დინ—მუუ“ .. შემოესმა უცებ ძილში ზარის ხმა და მარდად წამოიჭრა ფეხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანისამოსი ხომ იმ ღამესვე ახლოს დაიწყო ლოგინთან. ხარი თან-დათან უხშირებს. იაკო გაჩქარებული იცვამს ტანისამოსს. ჩაიცვა, დაიბანა პირი, ჩაიწყო ჯიბეში რამდენიმე წითელი კვერცხი. სულ მაგარი კვერცხები აარჩია, კბილზე ნასინჯი. მეზობლიანთ შაქროსთვის უნდა დაეკრა. გამოვიდა გარედ. უჰ, ღმერთო, რა კარგი ღამეა! რა ლამაზი! მთვარე დიდ ოქროს ბურთსა გავს. მიდის, ნელ-ნელა მიცურავს სამხრეთისაკენ, ხანდისხან პაწია თეთრ ღრუბელს გადაიფარებს ხოლმე პირზე, თითქოს გაწურა, თითქოს ინახებაო, მაგრამ მალე ისევ იმორებს თეთრს ზეწარს და მიდის, მისცურავს ნელ-ნელა. მარტო არ არი ცაზე. ვარსკვლავები, მისივე ფერი პაწია ვარსკვლავები ეხვევიან გარშემო, შესცინიან, თვალებს აქუჟუნებენ. ესაყვარლებიან მთვარეს, როგორც პაწია ბავშვები დედას. ზოგი მათგანი უცებ ეშვება მირს, ელვის სისწრაფით ვარსკვლავებს შუა ავლებს ბჭყვრიალა ხაზს და მერე ქრება, იმალება. „დაიმინა ცის ნაზ, ლურჯისფერ საბან ქვეშ, ალბად დაიღალა“ — ფიქრობს იაკო. ფიქრობს და თანაც ისევ ცას შესცქერის. აგერ უცებ რამდენიმე ვარსკვლავი ერთად შეჯგუფდა, აციმციმდნენ, ააქუჟუნეს თვალები, აენთნენ ხომლივით და ჭაღივით ჩამოეკიდნენ ცის ლაჟვარდ კამარაზე. დანარჩენი ვარსკვლავები ნელ-ნელა თვალებს ხუჭავდნენ, იმათაც ეძინებათ. მხოლოდ ერთი მათგანი გამდგარა შორს და აღმოსავლეთის დასაქანიდამ მისჩერებია სამხრეთისაკენ დინჯად, მედიდურად მიმავალს მთვარეს. „შრრრ“... დაიშრიალა უცებ ნიავმა, გაქანდ-გამოქანდა აქეთ-იქით, მიუალერსა იას, მიარწივ-მოარწია მწვანე ჯეჯილი და გასწია ზევით მთის მწვერვალისკენ. მაგრამ, ღმერთო ჩემო, დედა, იაკოს დედა, აგერ ისიც ვარსკვლავებში, ვარსკვლავების ხომლში! იღლიაში უჭირავს წითელი ხალათი, ახალი ქუდი, ახალი წაღები! ანგელოზის ფრთებით მოფრინავს იაკოსაკენ, მისკენ მოეშურება. მოეშურება, რომ მალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიკრას იაკო გულში. „მოვდივარ, მოვდივარ შენთან,—ჩემო იაკო, უცინის დედა და ხელებ გამოწვდილი მოსრიალებს მისკენ. მთვარე ქათქათებს, ვარსკვლავები იცინიან. მთის წვერვალიდამ დაქანებული ნიავი ჰკოცნის მწვანე კორდს, მღერის ჩუხჩუხა წყარო. „დედა, ჩემო დედა! ჩქარა, ჩქარა, მინდა ვაკოცო შენს მუხლებს",—ეხმაურება იაკო დედას შორიდან და ხტუნვით გარბის იმისკენ. „ჩემო გვრიტო, ჩემო იაკო, აი შენი საჩუქრები". გადაეხვია დედა იაკოს და გულში ჩაიკრა. „ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა"! გალობდა ნიავი, „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად"! უდასტურებდა კოკორ ამლილი ტყე, ამწვანებული მინდორი, ალისფრად გადაშლილი ნუში.

„დინ მუ..უ.. დინ მუუ"... ჩასძახა ამდროს იაკოს ზარმა ყურში. თვალები გააჭყიტა. გათენებულიყო. ბებიასაც გაეღვიძნა. იაკომ მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, გადაავლო თვალი თავიანთ პაწია ოთახს: აღარც ცა, არც ვარსკვლავები, არც დედა, არც საჩუქრები. ისმოდა მხოლოდ ზარის მოშორებული ხმა.

ი. ევდოშვილი





# დათეს კოხტა

## I

დათეს წკრიალა ხმა საამურად არღვევ-და ხოლმე სოფლის სიჩუმეს, რომელ-საც ისა და იმის ბატკანი კოხტა ვენახისაკენ გაემგზავრებოდნენ. და-თეანთ ვენახი სოფელზედ კარგად და-შორებით იყო და, სანამ დათე სახ-ლიდამ ვენახამდინ მივიდოდა, ერთს წუთას არ შესწყდებოდა ხოლმე იმისი ხმა. ხან თავის კოხტას ელაპარაკებოდა, ხან ტოროლასავით ჭიკჭიკს მორთავდა, ხან ერთ პატარა ჯოხს აიღებდა ხელში და ტყუილად ხელებ.ის ფათურს დაიწყებდა ზედ, ვითომ ჩონგურიაო, და ზედ დაამღერებდა:

ჰარალალი ჰარალალო, დილივ დალალეო,
წითელი კვერცხი ვიშოვნე ჩაკირული მეო,
ბიჭები ხომ ვერ იცნობენ, დილივ დალალეო,
ლიტონიაზედ დაუკრამ ყველა ბიჭებს მეო,
ჰარალალი ჰარალალო, დილივ დალალეო.

დილაზედ რომ გამიგებენ, დამიძახებენო:
დათე, კვერცხი გვიჩვენევი, თავშიც მომდებენო;
გოგოებში შემარცხვენენ, დილივ დალალეო
ჰარალალი ჰარალალე, დილივ დალალეო.

ამნაირად შეუმჩნევლად ვენახსაც მიატანდნენ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ დათეს მამა მუშაობდა, დათეც მამას ეხმარებოდა და კოხტა დათეს შორი-ახლო არხეინად სძოვდა მწვანე ბალახს, მაგრამ დათეს-კი თვალს არ აშორებდა.



თუ დათეს მამა წყალზედ გაგზავნიდა, აიღებდა თუ არა დათე ხელში კოკას, კოხტაც იმ წამსვე დაანებებდა ძოვნას თავსა და კუნტრუშით გამოუდგებოდა დათეს უკან.

მთელ ოჯახში კოხტას ყველაზედ ძალიან დათე უყვარდა. დათესაც ძალიან უყვარდა კოხტა. თუ როგორმე დათე სადმე გაეპარებოდა, იმ წამსვე მოჰყვებოდა ბღავილს.

— უი შენ და დარდუბალა! გაუჯავრდებოდა დათეს დედა მელანა, — ქა, იმ ბაჭს ზედ ხომ არ მიკაბამთ, შე ტიალავ! მოიცა, აი, საცაა აღდგომაა და მოგელება კიდეც ბოლო.

— დედი, ეგ ბატკანი ხომ დათეს აჩუქა მიამ; დათემა სთქვა, უნდა დიდი გავზარდოვო, — გამოეპასუხა დათეს და ბაბალე თავის დედას.

— ახლა რომ იმას აჩუქა, დათე-კი ჩვენი არ არის?! სწორედ მაგას გავაწყალებინებ ისედაც გაწყალებულ გულსა!

ამდროს კოხტამ ბღავილი შესწყვიტა და კურტუმის ქნევით ეზოს კარებისაკენ გაიქცა, სადაც დათე იდგა და იღლიაში ერთი კონა მწვანე ბალახი ჰქონდა ამოდებული. გადაეხვია დათე თავის მეგობარს და ბალახი მისთავაზა.

ჯერ დერეფანში არ შესულიყო დათე, რომ ბაბალემ მიახარა.

— ჰოო! დედამა სთქვა, კოხტას დავკლავთ სააღდგომოთაო.

— მოსწყდი აქედგან! გაჯავრებით უთხრა დათემ, — მაშ არ დაჰკლავენ, აგერ ინდაურები ცოტა გვყავს? ეს ბატკანი სულაც მე არ მაჩუქა მიამა!

— აბა, დედასა ჰკითხე, თუ არა გჯერა.

მაგრამ მელანა იქ აღარ იყო. ამ ამბის გაგებაზედ სულ გული მოუკვდა დათეს; აქამდის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იმის ლამაზ ბეკეკას მჭრელს დანას ყელში გაუყრიან, როგორც შარშან სააღდგომოდ მიტრომ დააწვინა საწყალი თეთრი ბატკანი მიწაზედ, მაგრა დაუჭირა წინა ფეხები და ისე შეუბრალებლად გამოსჭრა ყელი. საბრალო ბატკანი მალზედ იქნევდა უკანა ფეხებს, მაგრამ თავს მაინც ვერ უშველა. ერთბაშად გადმოსკდა ყელიდგან სისხლი. ეს რომ დაინახა დათემ, ველარ შესძლო ცქერა და სახლისაკენ გაიქცა. ახლა რომ გაახსენდა ეს ამბავი, სულ ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

თავს მოვიკლავ და ჩემ კოხტას-კი არ ჩაუგდებ მიტროას ხელშიო, გაიფიქრა დათემ. ბაბალესაც ხომ ტყუილი ლაპარაკი უყვარსო, დაიარხეინა გული და სტვენა-სიმღერით გასწია ბიჭებში. რასაკვირველია, კოხტაც თან გაჰყვა.

გაიარა ერთმა კვირამ და დათეანთ სოფლიდან ხურჯინწამოკიდებული გლეხ-კაცობა გაემგზავრა ქალაქს პასკისა და ლორის სასყიდლად. დათეს მამამაც გადაიგდო მხარზედ ჭრელი ხურჯინი, ცალთვალში ინდაური იდო და მეორეში კიდევ კალათით კვერცხები. ეს ძღვენი ქალაქში მოკეთეებთან გაატანა

მელანამ, იცოდა, რომ ისინაც ხელცარიელს არ გამოუშვებდნენ იქიდან.

— ლორს ნუ იყიდი, — დაბარა ცოლმა ქმარსა: — ბატკანს დავკლავთ და ამითი მტერსაც დაუხვდებით და მოყვარესაც. ისევ დათუს ჩუსტები უყიდე, ისა სჯობია.

დათუმ ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა და ახლა-კი დარწმუნდა, მაშ, ბაბალეს არ მოუტყუებივართო.

ამ ამბავმა ძალიან დააღონა დათუ. ბევრჯელ დაეღრიჯა დედას და ეხვეწებოდა, ბატკანს ნუ დავკლავთო, მაგრამ ვერა გააწყო-რა, დედა ვერ დაითანხმა. რაში გამოგვადგება შენი ბატკანი, უღელში ვერ შევაბამთ და ვერაფერიო. სხვები ყიდულობენ და ისე ჰკლავენ სააღდგომოდ და ჩვენ ხომ სახლში გვყავსო. დათუს მაინც არ ემეტებოდა ბატკანი დასაკლავად და, დედის უარით გულ-ჩათუთქული, სულ იმ ფიქრში იყო, როგორ გადავარჩინო ჩემი კოხტა სიკვდილსაო.

## II

ძალიან კეთილი გული ჰქონდა დათუს. როცა სოფლის ბიჭები ბუდეებს ჩამოუშლიდნენ ჩიტებსა, ან საქონელს უწყალოდ სცემდნენ, დათუ სულ უჯავრდებოდა. გულ-კეთილობასთან ცქვიტიც იყო და მორჩილი; ყველას უყვარდა სოფელში. უყვარდათ აგრეთვე იმ მეცხვარეებს, რომლებსაც იმათ ვენახის ბოლოზე გომური ჰქონდათ გამართული თავიანთ თხა-ცხვრისთვის. დათუმ გუნებაში ასე გადასწყვიტა: წავიყვან ჩუმად ჩემ კოხტას და იმათ მივაბარებ აღდგომამდისაო. იმ საღამოზედ მიტროაც გადმოვიდა დათუანთსა.

— რა ქენით, ნათლი-დედ, არა ჰკლავთ იმ თქვენ ბატკანსა? შეეკითხა მიტრო მელანას.

— დიაღ, უნდა დავკლათ, შაბათს გადმოდი.

— სხვას-კი არავის დააკვლევინოთ, აი, და ტყავი-კი ჩემი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონი ბძანდები, უპასუხა მელანამ.

მელანა სახლში შევიდა კვერცხების შესაღებავათ და ბავშვებიც, დათეს პატარა ძმა და და, იმას შეჰყვნენ. დათემ იდროვა, გამოიყვანა გომურიდგან კოხტა და ვენახისაკენ წაიყვანა ბილიკ-ბილიკ. ბინდისას გულის ხეთქით მივიდა დათე გომურში. ის იყო მინდვრიდგან მოერეკათ ცხვარი. დედა ცხვრები საშინლად ბღაოდნენ. ყურთა სმენა აღარ იყო.

— მია, — მიმართა დათემ უმცროსს მეცხვარეს, — ესე მალიან რათა ბღავიან დღეს დიდი ცხვრები?

— იმიტომ, ძმობილო, რომ მაგათი შვილები ვაჭრებმა წაასხეს გუშინ ქალაქში გასასყიდათ და ეხლა ეგენი, თავიანთ შვილებს რომ ვერა ხედავენ, ბღავიან.

— საწყლები, — სთქვა დათემ, — ჩვენთვის სასიხარულოა აღდგომა და მაგათთვის-კი სატირალი. აი, ჩემი კოხტაც უნდა დაჰკლან ჩვენებმა, და დათემ თავის ბატკნის ამბავი დაწვრილებით უამბო მეცხვარეს. უნდა როგორმე დავმალოვო, დაათავა დათემ.

— მაგისთვის ნუ დაღონდები, — უთხრა მეცხვარემ, — აი ჩემ ცხვარში გაურიოთ შენი კოხტა და შინ-კი ასე უთხარი, ვენახში დამრჩათქო.

დათე გადაეხვია თავის მეგობარს, გამოესალმა და საჩქაროდ დაბრუნდა სახლში, არ შეიტყუნ, სად ვიყავიო.

მეორე დღეს, მიტრო რომ გადმოვიდა, ბევრი ეძებეს კოხტა, მაგრამ ვერსად იპოვეს. მელანამ ბევრი იჯავრა, მაგრამ რას იზამდა. დაიკარგა ბატკანი! შენი ბრალია, შენ არ უგდე ყურიო, უსაყვედურა დედამ დათეს და მალიანაც გაუჯავრდა, გალახა კიდეცა. მეტი ღონე არ იყო, ისევ ინდოური დაჰკლეს. ამ დროს დათეს მამაც მოვიდა ქალაქიდგანა. ამოალაგეს ხურჯინიდგან: პასკა, ყველი, ბავშვის ჩუსტები და ერთი ნაჭერი ლორიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ლორი მოკეთეებმა გამოგვიგზავნეს, — სთქვა დათეს მამამ — და დიდი მადლობა შემოგვითვალეს.

საღამოზედ ბალღებმა გადასწყვიტეს, ამაღამ ლიტონიამდის ნუ დავიძინებთო. დათეს და-ძმა და სამიც მეზობლის ბალღი, ახალ ტანისამოსით დართულნი, დათეანთ ტახტზედ ისხდნენ; დათესაც ახალი ჩუსტები ჩაეცვა და სულ აღარ ახსოვდა დილანდელი გალახვა. ჯერ კვერცხებს აგორავებდნენ ტახტზედ, მერე იწილო-ბიწილო ითამაშეს, ბოლოს ზღაპრებიცა სთქვეს და ამასობაში ძილი მოეპარათ.

შუაღამისას ეკკლესიის ზარის ხმაზედ მთელმა სოფელმა გაიღვიძა. გაიღვიძეს ჩვენმა ბალღებმაც, ჩაიწყეს ორ-ორი კვერცხი ჯიბეში და დიდრონებთან ერთად ეკკლესიაში წავიდნენ. ზარები მხიარულად ხალხს ეკკლესიისკენ იწვევდა. საშინლად ბნელი ღამე იყო, მაღლები ზარმაცად იყეფებოდნენ. აქა-იქ სანათით მომავალი ხალხი მოსჩანდა, ეკკლესიაში-კი ისეთი შუქი იყო, თითქოს დღეაო. დიდსა და პატარას ყველას ხელში ანთებული წმინდა სანთელი ეჭირა. აი, საკურთხეველიდგან ღვდელი გამოვიდა და დაიძახა: „ქრისტე აღსდგა“! „ჭეშმარიტად აღსდგა“! ერთხმად უპასუხა ხალხმა. აქ დათეს გულმა ვერ მოუთმინა და წეროაანთ არჩილას დაუკრა კვერცხი. რადგანაც დათეს კვერცხი ჩაკირული იყო, რასაკვირველია, გაუტეხა არჩილას, მოგებული კვერცხი გაფცქვნა და ჭამა დაუწყო.

— ბიჭო, აღარ გაათენებდი? — ეუბნებოდნენ მოზრდილი ბიჭები.

— ახლა, რაკი სთქვა ღვდელმა „ქრისტე აღსდგაო“...

ყველამ სიცილი დაიწყო. ზოგიერთმა მიბამა დათეს და ატყდა კვერცხების ჩახა-ჩუხი.

სახლში რომ დაბრუნდნენ დათეანი, უკვე გათენებულიყო. დათეს მამას ბატკნის ამბავი არ უთხრეს, არ ეწყინოსო, და დახე იმის გაოცებას, როცა ეზოში კოხტა მიეგება თავის მეგობარს დათეს.

— კაცო, თითქოს ბატკანი უნდა დაგვეკლათ გუშინა? — იკითხა დეთეს მამამ გაკვირვებით.

— რა ვიცი, ქა, — უპასუხა მელანიამ, — გუშინ მთელი დღე დაკარგული იყო და ამ დილას-კი საიდანაც გაჩნდა.

მაშინ დათე მოჰყვა და უამბო ყველას, რა ხერხით გადაარჩინა თავის მეგობარი კოხტა აუცილებელს სიკვდილს.

— ყოჩაღ, ბიჭო! აი მეგობარიც ასეთი უნდა, მე და ჩემმა ღმერთმა! ღვთის მადლით, ყველაფერი გვაქვს და დეე იცოცხლოს თავისთვის საწყალმა ბატკანმა. მერმის ისეთი ყოჩი იქნება, რომ დათეზედ უფრო დიდი.

მალიან აღდგომა გაუთენდა დათეს. სიხარულით სულ ცას ეწეოდა, რომ იმისი კოხტა ცოცხალი გადარჩა. უიმისოდ, რა იქნებოდა ჩემთვის აღდგომა, ან წითელი კვერცხებიო.

გახარებული დათე დარბოდა ბიჭებში და თან დასდევდა თავისი კოხტაც, რომელიც ხან სად დაუწყებდა ნორჩ ბალახს წიწკნას და ხან სადა.

დ. ლეჟავა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა მეხრეს წერილები

## წერილი მეცხრე

ქრისტე აღსდგა, ქალაქელებო! მარხვა სინანულისა დაგილიოთ და აღდგომა სიხარულისა ბევრი გაგითენოთ ღმერთმა!

კარგი მოგეცათ, როგორც კარგად შევეგებეთ აღდგომას. მთლად მეხრეებმა გადავწყვიტეთ აღდგომას ყველოგია ერთად შემოგვევლო საუდრისთვის. შაბათ ბინდისას ისე ვფუსფუსებდი სახლში, რომ თავს ნაბუარი გადამდიოდა. რის ვაი-ვაგლახით დავიჭირეთ ჩვენი ნეზვია გოჭი. იმისმა ჭყვირილმა მთა და ბარი შესძრა. მამაჩემს გოჭის გაფუფქვას უგულოდა ვშველოდი, თვალი და გული სახლის პირდაპირ კუთხისკენ მრჩებოდა, იქ დედაჩემი და სოფო კვერცხებსა ჭღებავდნენ ენდროსა, მურყნის ქერქისა და ხახვის ფოთლის შეზავებულ წვენში. გოჭის ფუფქვას რომ მორჩა მამაჩემი, მე მომიბრუნდა:

— შენ, ილიკო, მოადრებით დაიძინე, თუ გინდა ყველო-

გიას არ მოსცდე; ახლა, შვილო, ღამე პატარაა, მამლის ყივილი არ დაიგვიანებს.

ბიბლიოთეკა

მეც აღარა ვთქვი რა, ჩვენი ნაცარა დედლის კვერცხებიდან ერთი კირკიტი ამოვარჩიე, ბალიშს ქვეშ ამოვიდე და ლოგინში ჩავგორდი.

ჯერ ევლოგიაზედ წასვლის დროს ბევრი უკლდა, რომ სოფომ გამაღვიძა:

— ადე, მილის გუდავ, რათა ხანია ევლოგიისთვის დარეკეს, ადე, რას იმშუშნები!

— გატყუებს, ბიჭო, რა დროს ევლოგიაა, ჯერ ერთი პირი მ. ლიც არა გმინებია,—გონს მაგდებდა დედაჩემი, მაგრამ ევლოგიის გაგონება ლოგინში რას დამაყენებდა. თვალის დახამხამების უმალ ტანთ ჩავიცვი, შემოვიკარ ახალი ქამარი, უბეში ჩავიდე ჩემი კირკიტი კვერცხი და გავქანდი საყდრისკენ. მივედ საყდრის ეზოში და ელდა მეცა: ჯერ არავინ სჩანდა.

— აკი არ მამატყუა ი ქაჯმა, იმანა! —ვსთქვი გულში.

საყდარი ჩვენზედ კარგა მოშორებით იყო, ამიტომ შინ დაბრუნება აღარ ვინდომე და იქავ საყდრის ეზოში მწვანეზედ წამოვწექ. თურმე, ნუ იტყვით, დამძინებოდა, ძილში მეორე გვერდზედ გადაბრუნების დროს ჩემი კირკიტი კვერცხი სულ მთლად დამმსხვრევოდა. იქნება ისე მძინებოდა დილამდის, საყდრის ზარს რომ არ გავეღვიძებინე. გავიქეცი შინ ახალ კვერცხის მოსატანად.

— რა უყავ, ბიჭო, კვერცხი? შემეკითხა დედაჩემი.

— რა უყო და გაუტეხეს,— ჩაიკისკისა სოფომ.

— კი არ გამიტეხეს, უბეში გამიტყდა,—უპასუხე და ყველაფერი უამბე.

აბა, ჩვენ სოფოს პირჭედ რა დაადგება, იმ წამს ჩვენებიანთ ზაქაროსთვის ჩაესარებინა და მალე მთელ სოფლის ბიჭებმა იცოდნენ ჩემი ამბავი.

ევლოგიის დაწყებამ ყველაფერი დაგვავიწყა. გაუთავებელი სიცილი და ყიჟინა მზინარე ფრინველს აფრთხობდა.

კვერცხების ჩახა-ჩუხი მზის ამოსვლამდის არ გათენებულა. ჩემმა კვერცხმა ხუთი გატეხა, მაგრამ ნიბლამიანთ გიოს ჩაკირულმა კვერცხმა ბოლო მოუღო ჩემს სიხარულს. დილით სახლში მიველი, მამაჩემს კარს შემოესხა ხუთიოდე ჩვენი მეზობელი და ქუდს ჭერსა ჰკრავდნენ. მიუჯექ მეც მამაჩემს გვერდში და მომშივებულმა ფერდები მაგრიანად ამოვივსე. მაინც გული არ დამიდგა სახლში, ჩავიწყე უბეში ხუთი გატეხილი კვერცხი და გავწიე საყდრის ეზოსკენ. იქ ბიჭებს თავი მოეყარათ და გაცხარებით „კვერცხის გორებას“ თამაშობდნენ. ჩავერიე მეც თამაშობაში და მზის გადაწვერამდის სახლი არც კი მომგონებია.

ეს უკანასკნელი წერილი იქნება, ქალაქელებო, რადგან ჯერ-ერთი—თქვენი პასუხი არ ვიცი და მეორეც—ჯეჯილი ისე აბალახდა, რომ საქონელს მალიან ბეჯითი მოვლა უნდა.

მშვიდობით, კიდევ მშვიდობით, ქალაქელებო! არ დაივიწყოთ მეხრე ილიკო.

იმედია, ჩემს მეგობრულ მახილს: „ქრისტე აღსდგა“, თქვენი წრფელი პასუხი მოჰყვება: „ჭეშმარიტად“!

მაშ, „ქრისტე აღსდგა“, ქალაქელებო! მშვიდობით, „ქრისტე აღსდგა“!

თქვენი მმა მეხრე ილიკო.

**ვ. თამროშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინდოური

(ვაგნერიდან)

ჩრდილოეთ ამერიკის უზარმაზარ და დაბურულ ტყეებში, ვეებერთელა ხეების ტოტებზე ცხოვრობენ გუნდ-გუნდად ინდოურები. ხეებ ქვეშ დათვები და მგლები დადიან, სწრაფად გარბიან და თავს აღწევენ მონადირეებს ღონიერი და მლიერი გარეული კამეჩები. არც დათვებს, არც მგლებს, ან კამეჩებს არ შეუძლიანთ ინდოურებს რაიმე ვნება მიაყენონ და ამიტომაც ინდოურნი, სხვა-და-სხვაფერად მოელვარენი, საუცხოვო კუდებ გაშლილნი მათ ზევიდგან გაბედულად და ამაყად დასცქერიან.

როგორც-კი ამომავალი მზის შუქი ხის კენწეროს თამაშს დაუწყებს, ინდოურები იღვიძებენ და თავის ყვირილით დედლებსა და ჭუკებს აღვიძებენ. მთელი გუნდი ფეხზე დგება, ტყეს ეფინება და სეირნობის დროს სხვა-და-სხვა მარცვალსა და ჭია-ღუას შეექცევა.

ინდოური ისეთივე ფიცხი და ანჩხლია, როგორც მისი ნათესავი, ჩვენი შინაური მამალი. აგერ გზაზე შეხვდა რამე: მაშინვე კუდს გაშლის, ფრთებს აფხორავს, თუხთუხებს და შიშინებს, ბიბილო ებერება და ხან წითლად, ხან ლურჯად უელავს.

ეროვნული

გაზაფხულის დამდეგს ინდოურები ბუდეების კეთებას შეუდგებიან; არჩევენ მყუდრო, განმარტოებულ ადგილებს, რომ კვერცხები სხვა ფრინველებს დაუმალონ, განსაკუთრებით ყვავს, რომელსაც მეტის-მეტად უყვარს მათი კვერცხები. ყვავები იტაცებენ კვერცხებს იმ დროს, როდესაც ინდოურები შინ არ არიან; ამიტომაც ერთ ბუდეში სამი-ოთხი ინდოური ჯდება და რიგრიგათ უდარაჯებენ კვერცხებს, რომ მტერმა არ მოსტაცოს.

გვიან, შემოდგომაზე, ინდოურები, როგორც დედალი, ისე მამალი, ტყეებს სტოვებენ და უფრო თბილ ქვეყნებისაკენ მიემგზავრებიან; რამდენსამე გუნდად შეიკრიბებიან და ფეხით მიდიან ახალგაზრდები ცალკე და ხნიერები ცალკე.

როდესაც მდინარეს მიუახლოვდებიან, მთელი გუნდი შედგება, ნაპირზე იკრიბება ხეებზე ან რომელსამე სხვა მაღლობ ადგილას. ასე სხედან ხანდისხან მთელი საათობით და ერთს ამბავში არიან, თითქოს თათბირობენ, როგორ ემჯობინება სახიფათო გზა გავიაროთ და მეორე ნაპირს მშვიდობით გავიდეთო. წინამძღოლის ნიშანზე მთელი გუნდი აიშლება; უფრო ღონიერნი მაღლა აფრინდებიან და ცდილობენ მეორე ნაპირს მიატანონ; უძლურნი კი ერთად თავს იყრიან და მდინარეში შესცურავენ. ამასთანავე ფრთებს მჭიდროდ ტანზე მიიკრავენ და ფეხებს ღონივრად უსვამენ. გააღწევენ თუ არა მეორე ნაპირს, გუნდი რამდენსამე ხანს ისვენებს და შემდეგ ისევ გზას განაგრძობს.

ინდოურს მეტად გემრიელი ხორცი აქვს; მისის ფრთებით კიდევ ინდოელთა მრავალი ტომი თავის მორთულობას იკაზმავს. აი, ამიტომაც ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ ყველაზე საშიშარი ადამიანია.

თუმცა შეხედულობით ინდოური ასეთი თავმომწონეა, ნამდვილად მეტად გულუბრყვილო და სულელი ფრინველია. ეს იციან მონადირეებმა და ადვილად იჭერენ ინდოურებს. ტყეში მონადირეები აკეთებენ სამ ადლიან სარების გალიას, ზევით-კი ფიჩხსა და ტოტებს აფარებენ. სარებს იმ მანძილზე არჭობენ მიწაში ერთის მეორისაგან, რომ ინდოურს მასში თავის გაყოფა შეეძლოს. ერთი გვერდით-კი გალიას პატარა კარები აქვს, რომელშიაც ინდოურს მხოლოდ გაჭირვებით შეუძლიან შესვლა.

გალიის ირგვლივ, შესავალში და თვით გალიაში სიმინდის მარცვლებს ჰყრიან. შემდეგ მონადირენი სახლში მიდიან.

აი გალიას გვერდით გაუარა ინდოურმა, დაინახა საყვარელი მარცვლები და ამხანაგებს დაუძახა. ყველა მიეშურება, რომ რაც შეიძლება მეტი მარცვალი აკენკოს. გალიას გარს შემოუარეს, მარცვლები ერთიანად აჰკრიფეს და კარებამდისაც მიაღწიეს. დაუფიქრებლად ერთი მეორეზე გალიაში მიძვრებიან. აქ კი ნამდვილი ლხინი იწყება: მარცვლები ბევრია და მთელი გუნდი ხარბად ყლაპავს გემრიელ მარცვალს. ბოლოს მალზე გაძღნენ. წინამძღოლმა ამაყად მაღლა აიღო თავი და გუნდს უკანვე გასამგზავრებლად ნიშანი მისცა. გუნდი აიშალა და წინამძღოლს უკან გამოუდგა. ყველა თავს სარებსა და სარებს შუა ჰყოფს, გაძრომა უნდათ, მაგრამ ვერ ეტევიან. ერთს არ მოაგონდება გალიიდგან იმავე გზით გავიდეს რა გზითაც შემოვიდა, და ისევ კარებში გაძვრეს. ასე ტრიალებენ ირგვლივ გალიაში, სარებ შუა თავის ყოფით, სანამ დაბრუნებული მონადირეები გალიას თავზე ფიჩხსა და ტოტებს არ ააცლიან. ისინი ერთი მეორეზე იჭერენ შეშინებულსა და გაკვირვებულ ფრინველს და ტომრებში სხამენ. ზოგს მონადირეები აშინაუ-

ეროვნული

რებენ, ზოგს მადიანად სადილ-ვახშმად შეექცევიან, ხოლო დანარჩენებს ვაჭრებზე ჰყიდიან, რომელთაც გემებით სხვა და სხვა ქვეყნებში მიჰყავთ და, სხვათა შორის, ჩვენშიაც, სადაც ინდოურს მუშტარი ბევრი ჰყავს

**დ. ყიფიანი**





# ანდაზები და გამოცანები

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ერთი ალვის ხე მიდგია, თორმეტი ტოტი აბია,
სცვივა და სცვივა ფოთლები, ისევ იმდენი ასხია.

—

მაღლიდანა მინახავს ზანზალი დაკიდებული,
ზანზალიდან მინახავს შიგ ხმელი გამოღებული,
ხმელიდანა მინახავს შიგ წყარო გამოდენილი,
წყაროდანა მინახავს უკუნი განათლებული.

## რ ე ბ უ ს ე ბ ი



ეროვნული ბიბლიოთეკა



***

**მე-5 №-ში მოთავსებულ გამოცანების ახსნა:**

გამოცანების ახსნა:—1) ბორკილი. —2) ცოცხი.

რებუსის ახსნა: —მეძებარმა კურდღელი დაიჭირა.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

# მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

**პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)**

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

საზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

---

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**